


# საქართველო



ლით. გ. ი. დემურაძის თბილისი.

სამეცნიერო და სალიბრატურო ნახაზებიანი გაზეთი. გაომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 23.

ივნისი 6, 1893 წ.

№ 23.

შინაზის:— ფიჭვი კახეთზე ახალგაზდა ქართველისა.— გლეხის ჩივილი, ლექსი კორტოხასი— მატიაზე XX ს.— კალამს, (ლექსი) დუტუ მუგრელისა.— გუბე, ლექსი ხ— შვილისა.— მარიამ დედოფალი და შვილი მისი თტია. გ. წერეთლისა.— წერილი ამბები.— ერეკლე მეფის სიკვდილი ხალხური ლექსი.— კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ხ— ისა.— ბატონებმა არ დაიწუნეს ან. ე— ენისა.

სამეცნიერო და საპოლიტიკო გაზეთი

## „კვალნი“

სელის მიწურა „კვალნი“ ამ 1893 წელს განიკრძობა წლიურად და ღირს 8 მანეთი. ვისაც მეორე ნახევარი წლის ფული არ შეძოტუნია, ვთხოვთ დახელონ ფულის შემოტანა. სოლო ვისაც ქსურს გაზეთის ახლად დაბარებას ნახევარი წლით დამდეგის ივლისის თვიდან, უმორჩილესად სთხოვს მათ რედაქცია, დროით იხებონ გაზეთის „კვალის“ დაბარებას.

გაზეთი ნახევარი წლით ღირს კვალნივით— 4 მანეთი, სხვი თვით— 2 მანეთი, ორი თვით— 1 მანეთი და 50 კ., ერთი თვით— 1 მან. ადრესის გამოცემა ღირს 60 კ.

## ფიქარი კახეთზე

(მგზავის წერილებიდან)



სეც კახეთი!... გადავდექით ცივ-გომორის ქედის მეორე მხრით და ჩვენ წინ დაგვესახა დიდებული სურათი.

„სეც კახეთი!...“ ამ ორმა სიტყვამ სიამით დამიარა მთელს ჩემს არსებაში და ტკბილად ატოკა ჩემი გული. თვალები უნებლიედ გაიტაცა ჩრდილო-აღმოსავლეთმა, საიდანაც მოსჩანდა ბუმბერაზი მთის კედელი, რომლის თავებს ამკობდა თოვლის თეთრი გვირგვინი.

მზე დაწურულიყო და ეს დიდებული მნათობი, ეთარკა შეყვარებული, მოხევეოდა თავის სატრფოს, კაცისიონის ქედს, ესალმებოდა და, თითქოს, ანუე-შებდა, კონიდა, ისე უხვად ჰუნდა და ახევედა მის გულზედ თავის მოწითაო სხივებს...

და ეს მისი საყვარელი, ეს კახეთის შეგნება მორცხვი და უმარკო ქალწულივით წითლდებოდა და ნახად იცელიდა. ფერს ყოველს წუთს ამ საუსტოვო

ფერადებდა, რომლის წარმოდგენა და დახატვა არ შეუძლია თვით დიდებულის რებრანტს. მართლაც სარკარი იყო ამ ორთა ბუნების შეგნების ერთად ტრეობა და ვამოსაღმებია... თვალბეცქერად გადა-  
მეტქვა: ჩემს სენას თითქო ბატკობდა რალც ზეციური ხმა, მოშობილავი, სანატრელი მფლოდა... სისხლი და იწყო ქარღებში აჩქარებით დნა; გულს გაპქონდა ბაგაბუღვი; გაცხოველებული სული გრძობდა წარმოუდგენელს ნეტარებას და აფრთოვანებული ოცნება დანაფარდობდა და დაპქროდა სიერცეში. მას ესახედა სულ სხვა ცხოვრება, სულ სხვა ხალხი, სულ სხვა ქვეყანა, სადაც არა ძალადობა, ტყვილი, სიძულილი, უფრურება; სიღარბი, სიკვილი, ცრემლი... სადაც თანასწორად ყოველი ადამიანი, ქალი და კაცი გამსჭეალებულია წმინდა სიყვარულით და სიყვითი და სადაც მცხოვრებთ ასულდგმულებთ ეს სამი სიტყვა; **ჴეშმარატება, სიამარღე და ჴეგაერება** და აძღვეთ მათ საუკუნო სიხარულს, ბედნიერებას და ნეტარებას...

დიღანს ვიყავი ვერე უძრავად ამ ოცნებით გატაცებული. ბოლოს გადავდგი წინ ინსტიტუტრად რაოდენიმე ნაბიჯი და ოპ, საოცრებავი! ჩემს თვალმებს დაეხატა ახალი სურათი, არა ნაკლებ მიმზიდველი, არა ნაკლებ შეგნიერი.

წინ გადავხალა გვერდითელა ვაც შემოსილი ბაღებისა და ვაზების მიწვანე ხავერდით. წყნარ სიოზღდ ბიბინებდა ბალახი. შუაში კი მიმშუოდა ამაყად და ბზინავდა ვერცხლივით მდინარე ალაზანი.

მოსჩანდა სოფლები, მოსჩანდნ მცხოვრებნი, და მათი სიხარული და სიმღერა გუგუნებდა არემარეზედ ისინი მოსდებოდნ ჴერვოს და ენახებს, კრფდნ ურძენს, აყენებდნ ღვინოს, რომლითაც მუშაბალი იღზნდა და იხალისებდა გულს. ჴევით მივებში ცხოვრებს თუშ-შეშავ-ნეესური, ქისტრი და ლეკი და ქვეშ ბარში კი კახელი. ჴევით მივებში შევლივით აქტივი და ცისფერთვალება ქისტის ქალწული ოძოვებს ცხერის ფარას და ქორფე ტანის ნახი რხევით მიისწრაფის ახალგაზღდა წყვესთან, რომელიც იზიდავს მას სალაშურის შეგნიერი ხმით და ქვეშ კი ჴერაში ჴვითვალა კახელი ტურფა მწვავე ისარივით გმირავს შეაწვერა მოხდენილს ვას და ჩუმაღ და ცელოქობით ესერას მას საფერის და მწეანის მარკელებს. იქაც და აქაც არსებობს მომზობილავი იდილოდა...

კიდევ ერთი საათი და კახეთმა გაშალა თავის უბვი გული და ტკბილად შემითვისა და მიმასპინძლა მისი მოძმე კოლხიდელი.

„ნეტარება იმ ხალხს, რომელიც ჴელობს და სტკება ამისთანა უბვი და ლამაზი ბუნებით,“ იტ-

ყვის უსათუოდ ჩემი მკითხველი; უსათუოდ ეს ხალხი უნდა იყვეს ნიეთიერად შეძლებული და ბედნიერი.“  
მაგრამ არა, სამწუხაროდ ეს ვერე არ არის. თქვენც მოტყუვდით ჩემსავით, ძვირფასო მკითხველო. მეც ვერე მფონა პირველად, მეც შევენატრალი მათ, ვრაცხლი მათ უუბედნიერეს ხალხად, მაგრამ... მაგრამ წელიწადმა და რამდენიმე თვი იქ ყოფნამ და დავკვირვებამ დამარწმუნა, რომ ეს ვერე არ არის. არ უნდა დაუჯერო მას, რასაც ვარგვნობით ხედავ... მღიდარი ბუნების მქონე კახელი ღარიბია, მწვეელი ძროხაა ყველა მოძალადე და მატყუარა კაცისა.

არ გაივლის დიდი ხანი და იმ გლეხის ოჯახს, რომელსაც ვერე მზიარულად ხედავდით წლან ვენაში, მწვევა დაუპმატიყვებელი სასტიკი სტუმარი, იგია სოფლის რისხვა, მუღვორალბებელი ჩარჩი, რომელიც მოზიდა თან ურმებით რუმებში და უცებ დაიკალა ის ქვევრები, რომლითაც აპირებდა ქორწილს, ნათელას და ხატობაზედ წახელას ეს გლეხის ოჯახი.

მოტყუვების მსხვერპლი გულ-ხელ დაკრეფით საცოდავად შეპყირებს, თუ როგორ მიაქეთ თავის ოფლის და შრომის ნაყოფი, თავის „მაცოტლებენ“ ჴედაში, “ თუ როგორ იყვება მით ჩარჩის რუმებში და ემზავრება „ქალაქს.“ შეპყირებს ჩუმაღ და მორჩილად ამ უსამართლობას, მოსდის ცრემლვები დაბალუპით და ამ ქეთის ბანს აძლევს მისი ცოლ-შვილის უფრო ხმა მაღალი ტირილი და ვეება. მაგრამ ვის ვსმის ეს გოდება? ვის გულს დალობს ეს ცრემლები? ჩარჩს? რომელიც კიდევ ხარობს ამ ოჯახის უბედურებით, რომელიც ხარბად უყურებს, თუ როგორ იყვება მისი რუმებში და იცლებდა გლეხის ქვევრები, რომელი ცდილობს, რომ ყოველ საბალნეზედ მოიპაროს ორი და სამი ჩავი და წაიღოს მერი, რომელიც კითხი შინჯავს მაგარ ღვინოს, უხარის გული, მაგრამ წარბ-შეშეზენილი უყურება გლეხს, ვერე დაბალი ღვინო საღ დავდგომია წელიწადი, თითქოს მართლა მისი ბრალი იყვეს. და ეს საბრალი მსხვერპლი შეპყირებს ბრიყულად და შენენებით, თითქოს სოსეოდეს პატიყვებასა და არას დროს კი არ კითხავს: რას მერჩი, რას მართმეე ჩემს სიმდიდრეს, ჩემს ნუტეშს, რომლითაც უნდა გავეცე პასუხი მტერს და რომლითაც უნდა ვესასხურო ხელმწიფეს და მღვდელს; რას მტერებ ცოლ-შვილს; დამიტოვე მაინც ნახევარი, მესამედი, მეოთხედი... არა, არა... რამდენსამე საბას შემდეგ გაუშვებს წინ საეესე ურმებს და უკან გაუდგება სიმღერით შეზარბოშებული ჩარჩი...

რისთვის ჩაიდინა კაცმა კაცზე ეს უსამართლობა? რისთვის წავღ იჯა კაცმა კაცს მისი სარჩო, მისცა რაიმე ფული საპაყვიროდ? არა. მაშ ემართა რამე?

დიად, ემართა. რამდენი? ოთხი თუმანი. რად სჭირდებოდა ეს ფული გლეხს? მას მოუყვდა ღვინო და დამარხება და ქელეხი უნდოდა, შემდეგ აეად გაუხდა შვილი, მკითხვემა უხრა ამა-და-ამ ხატთან წადი მთელი ოჯახით სალოცავად, ეს საწირავი მიუტანე და უსათუოდ შორიხება. ამასაც ფული უნდოდა. ამას მოყვა სახელმწიფო გადასახადი და თუ ფული არ ეშოვა საქმეწიფი და ოჯახის ავეჯს გაუყიდნენ, საღ უნდა შეეკრიბა ამდენი ფული? საღ უნდა წასულიყო? პური და ქერი იმდენი არა აქვს, რომ გაყიდოს, თითქმის საყოფიც არ მოსვლია: ღვინო არა აქვს, რომ გაყიდოს, ცუდი რთიელი ჰქონდა, სიტყვებმა დაზიანა მთლად. მას მუ ჰქვას სალოცავი? საღ წადილეს? თავის მუზობელითან, რომელიც იმსახურე დატაკია? თავის ნაბატონევეთან, რომელიც კისრამდის ჩაფულვია ვალეზში? არც პირველთან და არც მეორესთან. მას რაქვას: საღ ვადიკარგოს? ქირაზედ წავა, მაგრამ საღ? აქეთ ყანები თხოვლობენ პატრონობას, ვენახები თოხს... ძნელი წარმოსადგენია ამ გლეხის მდგომარეობა. ვინ ხელეს თუ რა ცეცხლი ტრიალებს მის გულში! ის სასოწარკვეთილებიანაა, ამ დროს ვაურბინა მას თავში რაღაც აზრმა, გაუნათლა გონება, გაუბრწყინდა თვალები; ვადიწერა პირჯვარი და ვასწავა თელავში. იქ მას ჰყავს ერთი ნაცნობი ეპური (ჩარჩი), „პატიოსანი კაცია,“ ნათლიაც არის, თავის უნცროსა ძმა მისი მონათლულია. ერთი სიტყვით ესაა მისი მხსნელი, თუ უშველის ვაქირებაში ეს უშველის, თორემ სხვა არავინ.

აი, მივიდა მის სახლთან; აი, მოვიდა გაუბედვად კარს ხელი; აი, ვალო და შევიდა შიგ კრძალვით. დახე მის ბედს, „ნათლია“ იქ ბრძანდება! იმან დაუტრა მძიმედ თავი, „ნათლია“ ოღნათ შეხედა და მელურად ჩაიკინა უღვაშებში.

„რა ვინდა?“ — ნათლია, „შენი ქირიმე,“ შენ ხარ ჩემი მშველელი, მისხენ, და... ამას მოყვება გაუთავებელი წილადობილა. ბოლოს „ნათლია“ სცნობს, რომ გლეხს უნდა ფული, უჯრეთ ორი თუმანი საპარხად. „ნათლია“ მიხედა, ყველაფერს, მიხედა, თუ რა გაქირებენაშია იგი.

„ეა, ვინ მომკა ემოტელა ფული? ორი თუმანი! — მთელი თანხა! მერე რა ქესატობაა! არა, შვილო, არა მაქვს, ვერ მოგცემ.“

თავზარი დავა საკოდავ გლეხს, მან დაუწოქა მუხლივებედ, დაუწყო ხელზედ კონა, ევედრება თვალკრემლიანი: „მიშველე ნათლია, მიშველე, თუ ქრისტეანი ხარ, დედა მკედარი მყავს სახლში...“ „ნათლიასაც“ შეგერალა, — ენეც კაცია, მოუღბა გული: კარგი, შვილო, აღმე, ეიფქრებ, მე არა მაქვს, იქ.

ნება ეიშოვო სადმე და მოგცე, მაგრამ უნდა იცოდე დიდ სარგებელს გამოგართმევენ, თუმანში ერთი საპალნე (32 ჩაფი) ჰა, თანახმა ხარ? თორემ შენც მშვიდობით და მეც. იფიქრე კიდევ, ხვალ მოიღ.“

გლეხის სიხარულს არა აქვს საზღვარი. როგორ? მის მისცემენ ფულს? ის ხვალ მიღებს ორს წითელ ბადესო! ოჰ, რა ბედნიერება! ამერთმა აკუჩიხოს ჩემი ნათლის ოჯახი, სწორედ ღმერთისნერი კაცია, რომ ამ გაქირებაში მომიმართა ხელი, თორემ ხომ ვერ დაეაღობდი სახლში მკედარს. სარგებელი, ეჰ, რა გეწყობა, ორი საპალნე, აბრლოში ფული ვი სესხე, ღვინოების თევში უნდა მივეცე. ვინ იცის, მანამდის რა მოხდება. ეჰ, მანამ ბერი მექნება ყველაფერი. წაიღოს ორი საპალნე! — მთარე დღეს ვახარებული გლეხი მიიჩქარება სოფლისკენ.

გავიდა ერთი თვე. ახლა სალოცავად უნდა წაიყვანოს შვილი. ერთი თუმანი უნდა. ვინ უშველოს, თუ არ ნათლია. „ცოტა ხანს შემდეგ მოსთხოვე ვადასახადი, მაგრამ რა უტკობს.“ „ნათლია“ ავერ არა ჰყავს, თუ დღერთმა უტოცხლა. „ის უშოვის კიდევ ერთს თუმანს. დადა რთიელიც; ვაათავეს კიდევ. გლეხს და მის ოჯახობას უხარია, კარგი მოსავალი ჰქონდათ წელს. ქვეყრები საესე აქეთ, მაგრამ საუბედურად ცოტა ხნით.

აი, ვამოხნდა, როგორც ზვეით ვეჭკით, მისი „ნათლია ურმებით და რამდენსამე საათს შემდეგ გლეხის ქვეყრებში მხოლოდ თხელ დარჩა.

ამით კი ვადარჩა ეს საბარლო? ეს სარგებელი იყო. თავის ისე დარჩა უზღებლად. თავნს სხვა ახალი სარგებელი უნდა, ვაისის მოსავალი ახლა იმაში წავა. მერმის კიდევ მერმისში და... გლეხი რჩება მუღამ თავის „ნათლის“ მონაობაში, ვფლობა თანდათან ვალეზში და დატაკდება.

და ეს ერთი კი არა, სხვა ასი და ათასი უფრო საზარელი მავალითები ჰხდება ალაზნის ხეობაში.


— არ იფიქრო, გულ-კეთილა მკითხველო, ეს ყველა მხოლოდ გლეხი ოცნების ნაყოფი იყვის. საუბედურად ეს მარტობა და ამ ვეჯარ ფაქტებს ხშირად ეხადედი ამ ტურფა ქვეყანაში. ვაგრძელდება ლაპარაკი, თორემ მოგიყვებოდი რაოდენსამე მათვანს. ყოფილა მავალითებიც, რომ გლეხს ორჯელ ვადეხადოს ვალი, ძლიერ-ძლიერობით ვადიცილებს ზოგი თავიდა უღელს, ვადიხდის ვალს, მაგრამ სეინდის-დაკარგული ჩარჩი ოსტატობით შეიარჩენს ვეჭკოს, ვითომ დაეკარგა, ან სახლში დარჩა, და „მერე მოგცემა“ და რამდენსამე წელს შემდეგ ან თითონ, ან ვადასცემს სხვას და ხელმეორედ ვადახადევენებს. ძნელი წარმოსადგენია თავის ხვედრის მორჩილი გლეხისა

და მისი ცოლშვილის მდგომარეობა... ზემოხსენებული წურბელა-ვაჭრების და ჩარჩების ქსელი ვახლართულია და გაბმული მითეს კახეთის ნიადაგზე. და, ვაი, მისი ბრალო, ვინც ვაგებმის; თაყვანი, აზნაური, ქვრავი, თუ ობოლი. მტარავალი და შეუბრალებელი

ობომა ყველას ერთნაირად სწუწნის სისხლს, აწელებს, ასუსტებს და ღუპავს.

მაგრამ ამას გარდა არის ხალხის სიღარიბის და დაღუპვის სხვა მიზეზებიცა, რომლებზედაც შემდეგ მოვახსენებთ.

(შემდეგი იქნება)



კლესიის ჩივილი

მ ბ ტ ი ა ნ ე

მაზრის და სოფლის ცხოვრება.

**ა**ლღი მყავს მოსანათლაეი, ნათლიას ვეძებ, ბეჩაეი. ვაიმე! რა დროს შევესწარ, რალასა ეხედვე ბედ-შაეი.

ამზობენ: არის ახალი წეს-წყობა მოგონებულო, რომლითა მარტო უფროსებს ნება აქეთ მინიჭებული:

გახდენ ყველასი ნათლია, განურჩეველად წოდების. და ვინცა ამ წეს დაარღვევს, დღე დაადება გოდების,

მისთვის რომ თურმე იმ წესში ასეა დადგენილიო: უფროსსა მოანათელიოს, ეისაც ყყოლოს შეილიო,

აჩუქოს ცხენი და ჯორი, ეისაცა ჰქონდეს, ფულიო. „ეისაც, აქეს, მიემატოსო“, ძველთაგან არის თქმულიო.

წინედ სხვა იყო ნათლია — მისკან ეელოდით წყალობას, ახლა ხომ ჩემებრ ბეჩაეი ეელარ გაბედავს ნათლობას?

რადგან ეარ ღარიბ-საწყალი, არა მაქვს ერთი აბაზი; არა მყავს ჯორი და ცხენი, არც ნათლი-დედა ღამაზი.

ბაღლი მყავს მოსანათლაეი, ნათლიას ვეძებ ბეჩაეი. ვაიმე! რა დროს შევესწარ, რალასა ეხედვე ბედ-შაეი!

კორტობა

**თ**ელი ეროვნება, გეარტომობით დაბინადრებული უხსოვრის დროიდან ერთს რომელსამე ქვეყნის კუთხეზე, რომ მივამგზავსოღ უზარმაზარს ხეს, რომელსაც შორს გაღუშულია მძლავრი ტოტები, სტებება და ხარობს ცხოვრებითა, მაშინ ყოველი მაზრა და სოფელი ამ ერისა შეადგენს მის ღონიერს ძირსა და ფესვს, რომელზედაც მტკიცედ დამყარებულია კეთილ-დღეობა უზარმაზარის ხისა. როგორც ღონიერი ძირი და მისი წერილმანი ფესვები ასაზრდოებენ ამ შეენიერს ხეს, მაზრა და სოფელიც იმ გეარსავე სამსახურს უწევს მითეს ეროვნებას. თუ ფესვი და ძირი ერთხელვე დაავადმყოფდა, აიშალა მისი ცხოვრების მიმდინარეობა, მაშინ ხეც აფულულია და ფოთლები სცივია, ტოტები უხმება და თეითონაც ემზადება გახმობას. აგრეთვე თუ მაზრა და სოფელი აირია, მაშინ თეთ მთელი ერიც, ესე იგი ნაციაც; დაეადმყოფდება და შიშში ეარდება მისი მომავალი ცხოვრება. ეისაც ჰსურს გაიგოს მთელი ერის ეითარება რა მდგომარეობაშია, იმან უსაკილოდ უნდა მაიქციოს დიდი ყურადღება მის მაზრებსა და სოფლებს, შეისწავლოს დაწერილებით მათი მდგომარეობა, განიხილოს მისი წერილმანი ეითარება, დაუკვირდეს ამ ერის ფესვებისა და ძირების ცხოვრების მიმდინარეობას. კიდევ იმის გამო აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენის საქართველოს მაზრებისა და სოფლების ცხოვრების შესწავლას.



დღე არ გავა, რომ ჩვენმა აღაგობრივმა ყურნალ-გაზეთებმა სულ უარესი და უარესი აზრები არ გეაცნობოს მაზრებიდან და სოფლებიდან. არა-ნაკლებ უნუგეშო მოვლინიებაზედ იწერებთან თეთი ჩენი თანამშრომელნი სხვა-და-სხვა ჩენი ქვეყნის მაზრებიდან და სოფლებიდან. ყოველგან გამწვავებულია ბრძოლა. მეზობელი მეზობელს არ ზოვავს, წრე წრესა, წოდება წოდებასა, გეარტომობა გეარტომობასა. მა-

როლაჲ რომ ჩაუყვირდეთ ამ საოცარსა და მომავლისათვის უნუფგო მახარასაოფლის ცხოვრებას, ყოველ ქვეყნის გულშემატკივარს უნებურად გაუეღებებს თავში სასოწარკვეთილება და ცეცხლ-მოკიდებული წამოიძახებს: „მოაწია უკანასკნელმა ჭამმა ჩვენის ერის ცხოვრებისამაო“. დიდი და პატარა გრძობს მომავლინების სენის მოახლოებას და ბაიბურიც არსათ ისმის ხსნისა.



დაეწიეთ სოფლიდან, რადგან ეს არის ერის ფუძე, მისი ტანის მსახრდობელი ფესვი. სოფელში არის ლეღელი და მრევლი, მწყემსი და სამწყსო. ენახით, რა დამოკიდებულებაა მათ შორის?

ლეღელის რჩენა სოფლად მის მრევლზეა დამოკიდებული ზე, აი, ძირითად მიზეზი დაუნდობლობისა მწყემსსა და სამწყსოს შორის ამ გარემოებაში იმალება. რაც უნდა სინიდისიერად იქცეოდეს მღვდელი, რაც უნდა ცოტას სჯერდებოდეს თავის სამრევლოს, ამას მაინც თვალები მღვდლისაკენ რჩება, მეტი ხომ არ გამომართაო. მღვდელიც, რასაკვირველია, ცოლ-შვილით დატვირთული, მომეტებული ნაწილი მათგანი მაინც, ხელში შეჭერება თავის სამრევლოს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს ღვეღელ-მოქმედების მოსაწყობისათვის მეტი სასყიდელი აიღოს. ამისგანო სამწყსოს თავის მწყემსზე თან-და-თან გული უგრილდება და ბოლოს სიყვარულის მაგიერად მტრობა, შური იბადება მათ შორის. ამის ერთი მიზეზთაგანი ჩვენი ღვეღების მოუშუადებლობაა. მას საღეთო წერილი ფილოსოფურად არა აქვს თავის ენაზედ შესწავლული; ის კი არა, ახლანდელმა ღვეღებმა ხელსუბის კითხვაც აღარ იციან რიგინად. რა ერთ უნდა მიუღობან მათ თავის მრევლს გული, როცა თავის მრევლის ენა მათ დაეწყებულა აქეთ, ეთქვათ, რომ ღვეღის თავის სამშობლო ენაზედ განვითარებულიც იყოს საღეთო წერილში, განა ეს კი კმარა მისი მრევლისათვის. არა. მან საღეთო წერილს გარდა სხვაც რაიმე უნდა იცოდეს, რომ გაჭირვების დროს თავის სამწყსოს დაეხმაროს. მან უნდა იცოდეს ეტობა, მეურნეობა, აღებ-მიცემობის ანგარიში, რა მოუდება მის სოფელს, მის მრევლს. ერთი სიტყვით ის უნდა ემზადებოდეს თავის მრევლის ეკონომიურს გაუფჯობისათვის. ის უნდა იყოს ქველ-მომქმედი და ყოველი ტვირთშიმე სოფლისა თავის სულიერს მამაში უნდა ჰპოვდეს გამამზნეველებს და ტვირთის შემამსუბუქებელს არსებას. შეუძლია თუ არა ჩვენს სოფლის ღვეღს თავის-იღვას ყველა ეს მოვალეობა? არა, და იმიტომ არა, რომ იგი სრულ-

ლებით არ არის თავის დიდი მოვალეობისათვის მომზადებული, მას არ ეძლევა მისი ღირსების და მოვალეობის შესაფერი სწავლა-მეცნიერება. ამის გამო რაკი თვითონ ვერ აძლევს ნებითის შეწყობას თავის მრევლს და უმისოდაც ხარჯით დატვირთულს კისერზედ ჩამოკიდება თავის ცოლ-შვილიანა სარჩენად, რა ვასაკვირია, რომ მრევლიც მას განზედ უდგეს და არ უყვარდეს იგი.



ახლა განვიხილოთ მრევლი, ესე იგი სოფლის მცხოვრებლები. ვადავთავალიეროდ ყოველ დღიური ჩვენი ვაზეთების ფურცლები. ენახით, რა ამბები მოგვდის ჩვენ თვითონ სოფლისა და მახრის თანამშრომლებისათვის? ამა-და-ამ სოფელში ავახაკები დაეცენ ერთ ოჯახს, სახლის პატრონი დახანჯლეს, ცოლ-შვილს შეურაცხყოფა მიაციენეს, რაც რამ მოქცეოდა მოგვჯახეს ფული, თუ ოჯახის სამკაული, ყოველივე გაიტანესო. ამა-და-ამ რკინის გზის სადგურზედ ერთი ენლაც მთვრალი ავახაკი ხმალ-ამოღებული შუადლისას დაერია ხალხს, ზოგი დაჩხება და ზოგსაც მოკვლას უჭირებდაო. როცა ჩაიკითხავთ ყოველ დღიურის ვაზეთის მატინეს, თქვენ შეგხედებთ მოწერილი ამბები სხვა-და-სხვა სოფლებიდან: „ზოგი ამბობს, ჯერ მოუხდელი ქვეყნი მომიხადეს და ათითუხმეტი ჩავი დღინო მომხარესო, ზოგი ამბობს, სასიმინდე და ბეღელი ვამიტებესო, ზოგი ჩივის, ქათამი, გოჭი, ცხვარი, ძროხა და ცხენი აღარ შემარჩინესო. ამ სახით სოფლად და მახრებში ცხოვრება სა მიმარ მდგომარეობაში ჩაეარდნოლა, მეზობელს მეზობელზედ ნლობა დაკარგვია. ღამით ძილი აღარ ჰქონია არავის და ღღე მოსვენება. ამზედ ნაკლები ბოროტ-მოქმედება აღარც სხვა-და-სხვა ქალაქებიდან მოდის. იქაც ავახაკობა, კაცის-კვლა, ცარცვა გლეჯაა.“



ერთს განათლებულსა და დამახურებულს კაცთან შემეხება ამ ღვეღში ღაპარაკი. ღღეს თუ ხვალ, ის ელის პენსიას, ძალიან ჰსურს სოფლად ცხოვრება, მამულეცა აქვს სოფელში ცოტადღინი, მაგრამ წარმოადგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მან გამომიტყდა:—მეზინია შინ დაბრუნებისაო! ვინ იცის, იქნება მეზობელს მდიდარი ეგგონოვო და გამცარეცოსო. ვაცარცვას ვინ დავებებს, ნეტა არ მომკლავდეს იმ ერს, საცა განათლებული მისი შეიღებინა სამშობლო აღგილ-მამულში ცხოვრებას ერადებიან თავისიანებს, ნათელ-მირანებს. მაშ ვინ-ღა უნდა

შეიტანოს სოფლად განათლების შუქი, თუ საუკეთესოა გონება-განვითარებული მისი შვილები თავის კარმიდამოს ფეხს ევლარ მოადგმენ. რა არის ამის მიზეზი? რად აირია ასე სოფლის ცხოვრება, რად მიეცა ბოროტ-გამზარხველს და ბოროტ-მომკმედს ამდენი უტიფრობა, რომ თავს აღარ იმაღლეს და შუადღის გულს ემუქრება ყოველ კეთილ-სინიდიისანის მშრომელის ნაწარმოებს და მის კეთილ-მდგომარეობას?



ვინ არიანო — კითხულობს ჩვენი თანამშრომელი ბანი ი. კორტელი — ეს თავზედ ხელ-აღებულგები, რომ ასე უწყალოდ ანადგურებენ ჩვენს სარჩო-საბადებელს და სიცოცხლის დღეს გვიმწარებენ და თან პასუხსაც იძლევა. ისინი არიანო ნეტარ-ხსენებულის ლურასაბ თათქარიძეების შთამოებანი, შრომას შეუჩვეულნი, რომელნიც თავის ადგილ-მამულს ევლარ პატრონობენ და ირჩევენ ისეთს ხელობას, რომელიც ჩირქსა სცებს მის მაღალ წოდებას. მაგრამ დიდი უსამართლობა იქნება, რომ მარტო თავდა-აზნაურობის შვილებს მოვახებოთ კისერზედ ასეთი ბოროტება. ხალხი მიმხედარია, რომ დღეს ასეთი სამარცხვინო საქმეებს ბევრი არ-მუშა გლეხთაგანიც ჩადის. მისი ღვინის ამომღები, მისი ბეღლის გამტები და ცხენის ქურდი ისევე მისი თვალხარბი და შურიანი მებობელია: გლეხი იყოს იგი, გინდა აზნაური. უფრო სამწუხარო ის არის, რომ შიშით ხმა ევლარ ამოგილია, პასუხი ვერ მოგითხოვია შენი შურიან მეზობლისათვის სამართლის წინაშე. მოსთხოვე და ინა-

ნებ. დღეს თუ ხელა, ის გასამართლებული ქურდები და ავაზაკები ისევე გვერდით ამოგიდგებიან და უწინდელზედ უარესს დღეს დაეცვენებენ. რა მიზეზია, ან საიდან წარმოსდგა ასეთი ამბავი?...  
 წყნე

ეს სულ ერის შეუფერებელ წეს-წყობილებიდან გან არის წარმომდგარი. იგი არ არის ერის ისტორიულ კალაპოტზედ მოწყობილი და ამის გამო ერის ზნეობის წერტილის მაგიერად ამ წეს-წყობილებას შემოაქვს ცხოვრებაში ავი ზნე-ჩვეულება. ვერ ვიტყვით, რომ ახლანდელი სამართალი რიგიანი არ იყოს, ვერ ვიტყვით, რომ ახლანდელი კანონ-მდებლობა განათლებულის ერის შესაფერი არ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთი, არც მეორე თვით ჩვენი ცხოვრების ვითარებაზედ კი არ არის მომართული, არამედ უფრო განათლებულ ქვეყნიდან არის გადმოღებული და მის შედგენის და შემოღების დროს არც ჩვენი ხალხის ბუნება, არც მისი სისხლ-ხორცი, არც მისი ძველი წეს-წყობილება და ჩვეულება, არც მისი ენა და მოსაზრება არ ყოფილა მიღებული. ამისგანა მო ყოველი ჩვენი მემამულეთაგანი ამისთანა კანონ-აგებულებას და სამართალს გვერდს უქცევს, განზედ უხვევს და ირჩევს უზნეო-უხასიათო და ბოროტებით სასენ ცხოვრების გზას, რომელზედაც იგი უფრო წუითიერს სიამოვნებას მისდევს და არ ხედავს განზედ იმ საშინელს წველების ჯურღმულს, საცა აღრე თუ გვიან უნდა ჩაეარდეს იგი და დაიღუპოს.

xx.



კ ა ლ ა მ ს

გ უ ბ ე



სევე შენ უნდა მოგმართო,  
 ჩემო ძვირფასო კალამო,  
 რომ გულს აღტყუებს ნადელოთ,  
 მტირედიც არის ეაამო!

სხვამ ყველამ, ვისაც მიემართე,  
 მასეა შხამი და სამხალა;  
 არეინ დამინდო... სატრფომაძ  
 მიმტყუნა, სხვაში გამკეალა.

მხოლოდ შენ დამჩიი, კალამო,  
 მეც სულს შენით-და ვიბრუნებ  
 და გვედრი სანამ ცოცხალ ვარ,  
 შენ მაინც წულარ მიმტყუნებ!...

დსუთ მეგრელი



აივსო გუბე, ევლარ ტულო  
 აშხორებული მასშვიან წყალიც;  
 მაგრამ თანდი-თან კელავ ემატება,  
 ქაუს ივდებს ზევით, გააქვს ტრიალი.

ტრიალებს იგი და აირია  
 წუმავე, ტალახი, ლექი და მწიკელი,  
 ვერ დაიჭირა სასენ გუბემა,  
 უტეც გადასქდა, გაირღვა თხრილი

გადასქდა, მაგრამ, ვაი, მიდამოს!  
 კარგი მან იმას არ დააყრა  
 და რაც მიგელო გუბეს მისგანა,  
 ახლა პირშივე მას მიაყრა.

ი. ნ — შვილი

## მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოცლია

**მ**ეტიდმეტე საუკუნე საქართველოს ერისათვის გოჯოხეთის ხანად შეიქმნა. ქრისტეს სარწმუნოებისათვის ბრძოლამ მეტად დაღალა ქვეყანა, დაცა ზნობა. საერთო სამშობლოს სიყვარული შეიცალა ანგარების მოყვარებად. მთავრები, მეფეები და ერისთავები ერთმანეთს გაეჯობებენ ქვეყნის აკლებად. აი, რასა სწერს მატიანე: „არამედ ჭამთა ამით შინა, ვითარცა ეხილიათ, იქნა განტყვევა კოლთა, კლვა კაცთა და იღუპალ ტყვის ყიდა და უჯგერონი სჯულსა ზედა მრავალი იმერეთსა შინა.“

ამ დროსვე მეფობდა ქართლში როსტომ მეფე, სჯულით მახშიდანი. მან შემოიღო სპარსული ზნეჩვეულება და ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგი ყოფა-ქცევა.

„ამა როსტომ მოიყვანა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი და ამითთ შეერიათ ქართველთა განცხრობა, სმაჰამა ყიზილბაშური, სიძეა, მრუშება, ტყუილი, ხორცთ-განსენება, აბანო, კვლუცობა უგვანი და მიღრქენ, ვიდრე დედელეთ-მთავარნი ჰყოფდენ უჯგერონა.“

მძლავრი ლეენ დადიანი იმ დროს უხტებოდა იმერეთს, გამოჰყვდა იქიდან მრავალი ქალი და კაცი და ჰყიდდა ოსმალეთში ტყვედ, იკლვდა ქემო და ზემო-იმერეთს, სწევდა სოფლებს და აქცევდა კოშკებს, ციხეებს. ქართლ-კახეთში თეიმურაზ და როსტომ მეფენი ნიადაგ ერთმანეთს ებრძოდნენ. როსტომ მძლავრობდა შაჰაბაზის შემწეობით, და ჰგზავნიდა ურჩსა და ქვეყნის გულ-შემმატიკვარს ერისთავებს შაჰის კარზედ, სადაც მათ ამაჰმადიანებდნენ. ერთ მიეტა სასო-წარკვეთილებას და ნელ-ნელა იღებდა ხელს ქრისტეს სარწმუნოებაზე; ქართველს ქართველობა აღარ სწამდა. ამ უბედურებას კიდევ ზედ დაერთო ორი საშინელი და ძლიერი კაცის ერთმანეთთან ქიშობა: ხონთქრის მურადისა და შაჰ-აბაზისა, რომელნიც ეომებოდნენ ერთმანეთს საქართველოს განაწილების გულისთვის. ბოლოს ეს მტარეალებიც მორიგდნენ ერთმანეთს შორის და ვაინაწილეს საქართველო: იმერეთი ჰხვდა ხონთქრის მურადს და ქართლ-კახეთი — შაჰაბაზს. ყველას ეგონა, რომ მოიწია ქარი საქართველოს მოსაპოვოს. ხალხი უნდა გამაჰმადიანებულიყო.

აი, ამ დროს წყვილი ბენლითა და სასო-წარკვეთილებით მოკლულ საქართველოს არეს ამოუბრწყინდა ნუეჰემინის მცემელი ვარსკვლავი. ეს იყო მარიამ დედოფალი, მუფლვე როსტომ მეფისა.

ამ სახელოვანისა და საქართველოს დედა ბუჩაგის მოვლენა სწორედ ბუნების საკვირველებად უნდა ჩაითვალოს იმ ყოველ მხრით გარყვნილსა და წყალ-წილებულს საუკუნეში. სად უნდა მიველო ამ დედოფალს ის უმაღლესი ზნობა და სათნოება, ის დაუტყრომელი მზნობა ქრისტეს სარწმუნოების შესამაგრებლად, რომელიც მას ბუნების ხასიათებად შეჰქმნოდა: თავის ტყვის გამყიდველისა და მრუმის ძმის ოჯახში, თუ მამის ვაჭრელის პირველის ქმრის ხელში, თუ სპარსულს ზნეჩვეულებაზე აღზდილის მაჰმადიანის ქმრების ხელში, რომელნიც შემდეგ თვით განგებამ წილად ახედრდა ამ წმინდა ქალსა.

1621 წელს ლეენ დადიანმა მიათხოვა მამია გურიელის შვილს, სვიმონს გურიელს, თავისი თექვსმეტის წლის ნახი ვარდის კოკორი და, მარიამ, და გადიხა და დიდებული ქორწილი. სვიმონ გურიელი მომეტებული ბოროტი და უფლების მოყვარე კაცი იყო. ამ მტარელის ხელში მარიამს მალე ყალბა შვილი ოტია, რომლის სიყვარულმა და აღზრდამ, ცოტაც არის, დაევიწყა აუტანელი და მისი ზნის შეუფერებელი ცხოვრება.

1625 წელს სვიმონმა მოჰკლა მამა თვისი. ასეთმა აუტანელმა ბოროტებამ გამოიყვანა ბოლოს მოთმინებიდან ლეთის-ნიერი მარიამ, დააგლო ქარი და წავიდა თავის ძმასთან ლეენ დადიანთან, რომელმაც ბოროტებისათვის თვით სვიმონს ჩხუბი აუტება, შეიპყრა და დასთხარა თვალტები.

1634 წელს როსტომ მეფემ ქართლისამ სთხოვა ლეენ დადიანს ცოლად მარიამი, რომელსაც იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა სილაბაშითა და სათნოებით დაეარდნილი. ამას გარდა როსტომს სხვა განზრახვაც ჰქონდა დადიანის დამოყვრებით. იმას ჰსურდა დაესუსტებინა ძალი თემურაზ მეფისა, რომელსაც მაშინ ეწეოდა იმერეთის მეფე გიორგი. მარიამს თან მოჰყვა თავის ცამეტის წლის შვილი ოტია. ეს სასუსტოვო ყმარვილი მისი დედის სიყვარულის გამო იშვილა როსტომ მეფემ და უზადებდა საქართველოს ტახტს.

აი, ამ დროიდან იწყება დაუეწიარო ლეწლი მარიამ დედოფლისა საქართველოსადმი. მისმა სიყვარულმა და სათნოებამ თვით მაჰმადიანს როსტომს გაუღვიძა გულში ქრისტეს სარწმუნოების სურვილი და შაჰაბაზის ყურ-მოპირილი ყმა მაჰმადიანი მეფე გადაქნა ქრისტეს სარწმუნოების მცველად და სასულიერო წოდების მფარველად. მარიამ დედოფლის სასიამოვნოდ მან განაახლა მცხეთის მკვლესია, სიონი ტფილისისა და ალავერდის ტაძარი კახეთში.

მარიამ დედოფალი ჰხედავდა, რომ მამამდიანი სარწმუნოება დღით-დღე ძლიერდებოდა ქართველებს შორის, ვადიდებულყო ხორცის პატეი. ერისკაცი კი არა საღვდლოებაკ მიდრეკილი იყო არაწმინდაზად. საღვთო სჯულს მაგდენად აღარავინ ასრულებდა. მან განიზრახა ამოფხვრა იმისთანა ზნეჩვეულებისა, რომელიც ავიწყებდა ერს ქრისტიანულს მოაყოლობას და სათნოებას. აი, ამის გულისთვის მისივე გავლენით მოხდა ქუთაის მღვდელ-მთავართა კრება ქართული ერის სჯულისა და ზნის განსაწმენდათ, რომ აეგრძალათ ტყეის ყიფა, ცოლის მიტაცება, მრუშება, ერთმანეთის აკლება, აგრეთვე შეელავათ თავ-გასული მალალი სამღვდლოება და დაეყენებინათ ისინი მტკიცედ ქრისტეს სარწმუნოებაზედ. კრებაში მიიღეს მონაწილეობა ქართლის კათალიკოსმა მალაქიამ, აფხაზეთის კათალიკოსმა ედემონს, ქუთათელმა სვიმონს, გენათელმა ანტონს, ჭკონდიდელმა, ბედელმა, მოქველმა, დრანელმა ფილომემ, საგერელმა კოხმანს, ხონელმა ზაქარია, ნიკორწმინდელმა იოაკიმ და ჩახსელმა კირილე. ამათ განაჩინეს ზემოხსენებულ ბორბლებს მოქმედთა შერისხვა და შეჩვენება, რომელიც დაიწერა და დამტკიცდა კრებაზედ.

თვით მარიამ დედოფალი დღენიადგა შრომობდა, რომ ძვირფასი ფარჩულობით და ოქრომკედის ქსოვილებით შეემკო ვატიცკული ეკლესიები სამღვდლო და სამღვდელ-მთავრო სამოსლებით, გარდამოსნებით და წმინდა ტრაპეზებში სახმარებელ საფენებით. იგი ხმარობდა აუარებელს სიმდიდრეს როსტომ მეფისას ეკლესიების დაქარხნებულ საჭურჭლეების გასამდიდრებლად. თვით როსტომ მეფე შორს გამსჭვრეტი პოლიტიკოსი იყო; იმან შეაყვარა თავი შაჰსეფს, რომელიც მას მამად უწოდებდა დასაურქებდა ურიცხვი სიმდიდრით. ამას გარდა როსტომ მეფეს წილიურ შემოსავლად ჰქონდა სპარსეთის შაჰისაგან დანიშნული რვა-ათასი ოქრო ისპანისა და სხვა სპარსეთის სოფლებიდან. მთელი ეს სიმდიდრე შემოდირდა მარიამ-დედოფლის ხელში და იგი სპარსეთის ქვეყნებიდან მოდენილი ოქროთი და ვერცხლით ამკობდა საქართველოს ტაძრებს, ათონის და იერუსალიმის ქართულ მონასტრებს. მეფის სასახლეში ორნაირი დროს გატარება იყო. მარიამ-დედოფლის მხარეზედ იკრიბებოდნენ მღვდელ-მთავრები და ისმობდნენ საღვთო გალობა, გალობდნენ საღვდესაწაულსო საგლობლებს, ძილის პირებს; ზშირად კარის მღვდელ-მთავრები იყვნენ იმის რჩევაში, თუ როგორ აამაღლონ სარწმუნოება და ზნეობა. როსტომ მეფის

მხარეზედ კი იკრიბებოდნენ სპარსელები, ატარებდნენ მხიარულად დროს, მუეროდნენ შეწინების ჯამისა და ჰფიფის ლექსებს. მდიდარმა სპარსულმა პოეზიამ იქონია ამდროს გავლენა ქართულ საერო ლიტერატურაზედაც.

მარიამ-დედოფლის გავლენით ყველა ერისთავთა და დიდებულთა ცოლები ამზადებდნენ სამღვდლო და სამღვდელ-მოლოზნო სამოსლებს; იმათაც აგრეთვე ჰქონდათ თავიანთ გარეწარს ქრებზე კეთილი ქრისტიანული გავლენა. დღეს ქართლ-კახეთში მრავალი ეკლესია და მონასტრია, საცა საეკლესიო სახმარებელ საფენებზედ და წმინდა ტურტლებზედ მარიამ დედოფლის შეწირულება არის მოქარგული. ამას გარდა მან საღვთო ლიტერატურასაც მიაქცია ყურადღება, მისი გავლენით შეიგნო საგლობლები, მაგრამ ყველაზედ უფრო დიდ დეწლი მარიამ დედოფალმა დასდო საქართველოს ქართულ მატანის გამართვისათვის. ერთი ცალი ქართლის ცხოვრებისა, მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილი, დღესაც ინახება რუმინაციის მუზეუმში და შეადგენს საუკეთესო წყაროს ჩვენის ისტორიისა.

მისი გავლენით აყვავდა მეფეიდმეტე საუკუნეში ახალი მიმართულების ხუროთ-მოდერება, მხატვრობა, ზალეოგრაფია, ხუცური ხელთნაწერის გაშეწიერება, ქარვა და ოქრომკედის ქსოვილების გაუმჯობესობა. ამ გვარი ზედმოქმედებით თავის ქრებზედ: როსტომ მეფეზედ და ვახტანგ V (მანავაზეზედ) ღკეთილი გავლენით მან ჩაუდგა ისევე ძლიერი სული ქრისტიანობას საქართველოში. ქართველებმა შეისვენეს, ძალი მოიკრივეთ და ამის მეოხებით აღარ შეუშინდნენ მეფეთამეტე საუკუნის ქარიზხალს და სასტიკს ბრძოლას ეროვნების გულისთვის. ქართველმა ერმა მარიამ დედოფლის ქველ-მოქმედების წყალობით უშიზრად მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემდის ქრისტეს ჯვარი და თავისი ეროვნება. მან სძლია უსჯულოებას, იმის გამო რომ ერის თვით-არსებობას შეურყეველ ბურჯად შეუდგა მარიამ-დედოფლის ქველ-მოქმედება. არცერთს სახელოვანს დედოფალს საქართველოსას მარიამ-დედოფალზე მეტი დეწლი არ მოუძლიეს თავის ერის წინაშე. მას რა მიზეზია, რომ ისტორიამ თამარ-მეფე და ქეთევან-დედოფალი დიდების შარავანდებით შეემკო და მარიამ-დედოფლის სახელი კი ძლიესდა თუ იხსენება? ამის მიზეზი წუთისოფლის უმაღურობა და გამოუკვლევლობაა.

ნათქვამია, ბედისწერა კაცის დენინაცულიაო მართლაც, რომ მარიამ დედოფალს წუთი-სოფელი აუ დენინაცულზე უარესად მოექცა. ამ საკირო





მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტობ

